ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31233342**
თარიღი: **30/11/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

სხდომის ოქმი N 8

ქ. ლანჩხუთი

24.11.2023 წელი

15:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა.**

ფრაქციის წევრები: **გიორგი გოგუაძე, გივი ცინცაძე, ირმა მგელაძე.**

სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **თორნიკე ტიკაძე,** მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია.**

ფრაქციის სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: შოთა ჩაგუნავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო

გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: თორნიკე ტიკაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: როლანდ ლაშხია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

5. სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტის მიმართ ფრაქციის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 4; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განაცხადა, რომ ზემოთაღნიშნული დადგენილების ცვლილების პროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 12 სექტემბრის NGOV 2 23 00026382 წერილის საფუძველზე.

მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის მიერ, განხორციელებული სამართლებრივი ზედამხედველობის ფარგლებში, „საქართველოს კანონით, „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდამრღვევთა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით“ საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი.

ვინაიდან დადგენილების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **თორნიკე ტიკაძემ.** მან აღნიშნა, რომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად ევროკავშირმა შეიმუშავა ინიციატივა - მერების შეთანხმება. ინიციატივა წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივი თვითმმართველობების ნებაყოფლობით გაერთიანებას და ორიენტირებულია კლიმატის ცვლილების შერბილებაზე, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირებასა და მდგრადი, საიმედო და ხელმისაწვდომი ენერგიის წვდომაზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი აღნიშნულ ინიციატივას 2017 წელს შეუერთდა, შეიმუშავა მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა, რითაც განსაზღვრა კლიმატის ცვლილების დასაძლევად 2030 წლამდე განსახორციელებელი ადგილობრივი აქტივობები. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ 2030 წლამდე პერიოდში, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, დაგეგმილი ყველა აქტივობა. გეგმის მიზანია სათბურის აირების ემისიებისა და ენერგიის მოხმარების შემცირება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. სამოქმედო გეგმა, პირველ რიგში, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ენერგოეფექტურობის გაზრდას. ამასთან, ითვალისწინებს ღონისძიებებს არამუნიციპალური სექტორებისთვისაც. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ პროექტში სულ 27 მუნიციპალიტეტია გაფორმებული, მათ შორის გურიის სამივე მუნიციპალიტეტი.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**, მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე. 2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 18 492,0 ათას ლარს შეადგენს.

2023 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 990,9 თასი ლარით (5,7 %-ით). ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათ. ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა საკუთარი შემოსავლებით შეადგენს 22171,7 ათას ლარს (2023 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 2594,6 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

კახაბერ ასკურავა დაინტერესდა, დაგეგმილია თუ არა ა(ა)იპ-ის თანამშრომლებისთვის ხელფასების მატება, გარდა გეგმიური10%-ისა, რაზეც **როლანდ**

ლაშხიამ განმარტა, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ საბავშვო ბაღის თანამშრომლებს 100 ლარით გაეზრდებათ სახელფასო ანაზღაურება.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ ისაუბრა ფრაქციის თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ.** მან განაცხადა, რომ აღნიშნული პროექტი გადმოტანილია წალენჯიხის მუნიციპალიტეტიდან. ვინაიდან წალენჯიხა მოსახლეობის რაოდენობით და ეკონომიკური მდგომარეობით ლანჩხუთს შეესაბამება, ფრაქციას მიზანშეწონილად მიაჩნია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტშიც განხორციელდეს ეს პროექტი, რომლისთვისაც 215 000 ლარია საჭირო. მან აღნიშნა, რომ არის ოჯახები, რომელთაც არ აქვთ ისეთი ფინანსური მდგომარეობა, ბავშვები სკოლებში უზრუნველყონ კვების თანხით. ის დაინტერესდა, თუ მოხდება პოლიტიკური შეთანხმება - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეძლებს თუ არა ფინანსურ უზრუნველყოფას, რაზეც როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ 2024 წლის ბიუჯეტი უკვე გაწერილია, დამატებითი თანხის მოსაძიებლად ფინანსთა სამინისტროში უნდა გაიაროს კონსულტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არცერთი.

5. სხვადასხვა.

1. კახაბერ ასკურავამ ყურადღება გაამახვილა ტელევიზიით გაშუქებულ სიუჟეტზე, რომელიც სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის დასარიგებელ პროდუქტებს ეხებოდა. სიუჟეტში საუბარი იყო, რომ პროდუქცია დროულად არ დარიგდა, ვადა გაუვიდა და გადაყარეს. ის დაინტერესდა რატომ და რა მიზეზით ვერ მოხერხდა პროდუქციის დროულად მიწოდება დაზარალებული მოსახლეობისთვის.

თორნიკე ტიკაძემ განმარტა, რომ შემოწირული თანხის ჩამორიცხვა სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და კერძო პირებიდან ხდება ეტაპობრივად. შესაბამისად ხდება პროდუქციის დასაწყობება და შემდგომ მათი დარიგება დაზარალებული ოჯახებისთვის. ამ ეტაპისთვისაც დასაწყობებული იყო პროდუქცია და სოფლის რწმუნებულებს უნდა გაეტანათ. მან ასევე ისაუბრა ბრალდებაზე, თითქოს ხდება ჰუმანიტარული პროდუქციის გაყიდვა.

ირმა მგელაძე დაინტერესდა, თუ რატომ მოხდა პროდუქციის გადაყრა. ამბობენ, რომ გაფუჭებული კვერცხი და სხვადასხვა პროდუქცია გადაიყარა, უდიერად დაყრილია წიწიბურა და შაქარი. აღნიშნა, რომ ოზურგეთის მხრიდან გაჟღერდა ინფორმაცია, რომ სასტუმროს წარმომადგენლებთან ჰქონდათ ვაჭრობა - პროდუქციის შესყიდვის შესახებო.

გიორგი გოგუაძემ განმარტა, ვინაიდან დაზარალებული მოსახლეობა განთავსებულია ოზურგეთის სასტუმროებში, ოზურგეთმა წამოსწია პროდუქციის გაყიდვის შესახებ ინფორმაცია, მათი მხრიდან ასეთი ბრალდება არ გაჟღერებულა. თუმცა მისი მოსაზრება იყო გრიგოლეთის სასტუმროებში განთავსებულიყო დაზარალებული მოსახლეობა.

კახა ასკურავამ განაცხადა, რომ ეს ჰუმანიტარული დანაშაულია. ხელისუფლებამ ვერ მოახერხა პროდუქცია დროულად დაერიგებინა. საკვები პროდუქტი საკმაოდ ძვირია და ნამდვილად შეიძლებოდა გაკეთებულიყო კარგი ორგანიზება, რომ დროულად მიეწოდებინათ დაზარალებულებისთვის, ნების შემთხვევაში ფრაქციის წევრებიც დაეხმარებოდნენ.

2. ირმა მგელაძე დაინტერესდა, რატომ არ დაიწყო სასწავლო პროცესი სუფსის და ხაჯალიის საბავშვო ბაღებში, რაზეც თორნიკე ტიკაძემ განმარტა, რომ ყველაფერი მზადაა, ელოდებიან შენობის ექსპლუატაციაში შესვლას, კერძოდ სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნას.

ირმა მგელაძემ განაცხადა, რომ დროულად უნდა ყოფილიყო შენობის უსაფრთხოების დასკვნა გაკეთებული. ასევე აღნიშნა, რომ ახალსოფელს წაართვეს საბავშვო ბაღი. აღსაზრდელების სუფსაში სიარული საკმაოდ მოუხერხებელია. მშობელმა უნდა დაიქირაოს ტრანსპორტი, რომ ბავშვები მივიდნენ დანიშნულების ადგილას, მითუფრო მუნიციპალიტეტი არ აფინანსებს ტრანსპორტირებას და ოჯახებს მოუწევთ ხარჯის გაღება.

ამით სხდომამ მუშაობა დაასრულა.

პატივისცემით,

კახაბერ ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-
საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების

სარეგისტრაციო ფურცელი
24. 11. 2023 წელი
15.00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – კახაბერ ასკურავა		
2. გიორგი გოგუაძე		
3. ირმა მგელაძე		
4. გივი ცინცაძე		